



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030443059523215

04-209/ო

22 / ივლისი / 2015 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² პუნქტი:

„1². დადგენილების N1.1 დანართის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით, N1.3 დანართის პირველი პუნქტის „გ.დ“ და მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტებით და N1.4 დანართის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებების დაჯგუფება განხორციელდეს ამ ბრძანების N7 დანართით განსაზღვრული წესით.“

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის, აგრეთვე, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით.

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი),

ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საფუძველი: სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 15 ივლისის № 04-12721 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



თამაზ მოდებაძე

ხელოვნური კოდი	ხელოვნური კოდის დასახელება	დანართი N7
DEL36	მშობიარობა (საბაზისო/მინიმალური/ვეტერანების პაკეტი პაკეტი)	
CSE36	საკეისრო კვეთა სამედიცინო ჩვენებით (საბაზისო/მინიმალური/ვეტერანების პაკეტი პაკეტი)	
NIC36	საკეისრო კვეთა მოთხოვნის საფუძველზე (საბაზისო/მინიმალური/ვეტერანების პაკეტი პაკეტი)	
DEL218	მშობიარობა (მიზნობრივი ჯგუფები)	
CSE218	საკეისრო კვეთა (მიზნობრივი ჯგუფები)	
DEL165	მშობიარობა (ასაკობრივი ჯგუფები)	
CSE165	საკეისრო კვეთა (ასაკობრივი ჯგუფები)	